ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა
და ეთიკის კომისია

დასკვნა:**დ05.37211411**
თარიღი:**21/05/2021**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი საკრებულოს სამანდატო საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

აღინიშნა, რომ პროექტის მიღება ემსახურება და მიზნად ისახავს იმ აუცილებელი ცვლილებების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს მოქმედ კანონმდებლობასთან რეგლამენტის სრულ შესაბამისობასა და ჰარმონიზაციას, ასევე ხდება გარკვეული დებულებების დახვეწა სამართლებრივი ტექნიკის გათვალისწინებით.

პროექტი მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით კომისიამ მიიღო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მხარი დაუჭიროს პროექტის მიღებას წარმოდგენილი სახით.

ეროდი გორდელაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი